



## წინ რთული გზაა: საქართველოს ეკონომიკა რუსეთის მიერ უკრაინის წინააღმდეგ ომის დაწყებისას

ავტორები: იაროსლავა ზაბიჩი, არჩილ ჩაფიჩაძე, ნინო სარიშვილი

### შეჯამება

რუსეთის მიერ უკრაინაში შეჭრამ დიდი გავლენა იქონია გლობალური ეკონომიკის თითქმის თითოეულ ასპექტზე, დაწყებული სურსათისა და ენერჯო უსაფრთხოების სექტორებით, დამთავრებული მიწოდების ჯაჭვებითა და ფინანსური ბაზრებით. [მსოფლიო ბანკის](#) 2022 წლის ივნისის პროგნოზის თანახმად, 2021 წლის 5.5%-იანი გლობალური ზრდის მაჩვენებელი 2022 წელს წლიურ 2.9%-მდე დაიწევს. ეს დაღმასვლა, აგრეთვე, განპირობებულია პანდემიის გამო შემცირებული მოთხოვნით, მაღალი ინფლაციითა და განვითარებული ინდუსტრიული ეკონომიკის მქონე ქვეყნებში სტრატეგიული მხარდაჭერის არარსებობით. საერთაშორისო სავალუტო ფონდის ვარაუდით, შეერთებული შტატები 3.7%-ით, ევროზონა კი 2.8%-ით გაიზრდება. 2021 წლის 8.1%-იანი ზრდის მაჩვენებელი ჩინეთში 2022 წელს, სავარაუდოდ, 4.4%-მდე შემცირდება. გარდა ამისა, [მსოფლიო ბანკის](#) ვარაუდით, საქართველოს მეზობელ ქვეყნებში ზომიერი ზრდის მაჩვენებელი დაფიქსირდება: სომხეთში – წლიური +3.5%, აზერბაიჯანში – წლიური +2.7%, თურქეთში – წლიური +2.3%. მეორე მხრივ, მოსალოდნელია რუსეთის ეკონომიკის წლიური 8.9%-ით შემცირება.

გარდა ამისა, მიწოდების ჯაჭვების ხარვეზებმა, ენერჯის გაზრდილმა ფასებმა და გაუარესებულმა ფინანსურმა მდგომარეობამ განვითარებული ეკონომიკის ქვეყნების პროგნოზირებული ზრდის მაჩვენებლების შემცირება გამოიწვია. მოსალოდნელია ამ ეკონომიკების 2.6%-იანი ზრდა, რაც 1.2 პროცენტული პუნქტით ნაკლებია მანამდე არსებულ პროგნოზებზე. შემცირდა განვითარებადი ბაზრების ეკონომიკის (EMDE) ქვეყნების მოსალოდნელი ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელიც, რომელმაც წლიური 3.4% შეადგინა, 2021 წლის 6.6%-იან ზრდის მაჩვენებელთან შედარებით.

[საქსტატის მთლიანი შიდა პროდუქტის \(მშპ\) ზრდის მაჩვენებლის უახლესი შეფასებით](#), საქართველოს ეკონომიკურმა ზრდამ 2022 წლის I კვარტალში 14.4% შეადგინა, რაც სამოგზაურო შეზღუდვების შემცირებით, პარტნიორი ეკონომიკური სისტემების გაძლიერებით და საწარმოო პროცესების აღდგენით იყო გამოწვეული, რამაც პოზიტიური გავლენა იქონია საქართველოს გარე ვაჭრობის ბალანსზე. უკრაინაში რუსეთის შეჭრამდე, საქართველოს ეკონომიკა პანდემიის შემდგომი აღდგენის პროცესში იყო, რაზეც დადებითად მოქმედებდა გაზრდილი შიდა აქტივობა და გარე მოთხოვნა. გარდა მზარდი ექსპორტისა და ტურისტების რაოდენობის ეტაპობრივი ზრდისა, 2022 წლის პირველ ორ თვეში სწრაფი ფულადი გზავნილების მნიშვნელოვანი ზრდაც დაფიქსირდა.


თუმცა ომმა და რუსეთზე დადებულმა ფინანსურმა სანქციებმა გამოიწვია ნაკადების მნიშვნელოვანი შემცირება როგორც რუსეთიდან, ისე უკრაინიდან (მაგალითად, 2022 წლის I კვარტალში, გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, რუსეთიდან შემოდინებული წმინდა ფულის რაოდენობა 4,9 მლნ აშშ დოლარით შემცირდა, ხოლო უკრაინიდან – 12,9 მლნ აშშ დოლარით, რაც 2022 წლის მარტში შემოდინების მაჩვენებლის მკვეთრი შემცირებით იყო გამოწვეული). გარდა ამისა, საქართველოს სუვერენული რისკ-



პრემია<sup>1</sup> რეგიონში არსებული შემაშფოთებელი გეოპოლიტიკური სიტუაციის გამო გაიზარდა, რაც, როგორც წესი, უცხოური ინვესტიციების შემცირებისა და ვალუტის გაუფასურების რისკს ქმნის<sup>2</sup>.

2022 წლის I კვარტალში (სეზ, 2022 წლის მაისი) არსებულ დინამიკაზე დაყრდნობით, ეროვნული ბანკის პროგნოზირებული რეალური მშპ-ის ზრდის მაჩვენებელი 5%-დან 4.5%-მდე დაკორექტირდა. ჯერ კიდევ მოსალოდნელია, რომ შიდა საკრედიტო აქტივობის ზრდა მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს ზრდის მაჩვენებელში. თებერვლის მონაცემებზე დაყრდნობით, ISET-ის კვლევითი ინსტიტუტის მიერ პროგნოზირებული მშპ-ის ზრდის მაჩვენებელი 2022 წლისთვის წლიურ 10.7%-ს შეადგენს.

გრაფიკი 1. საქართველოს მშპ-ის პროგნოზი



**ინფლაცია**

2022 წლის I კვარტალში სამომხმარებლო ფასების ინდექსის (სფი) საშუალო წლიური ინფლაცია 13.2%-ს შეადგენდა, რაც 10.2 პროცენტული პუნქტით აღემატება მიზნობრივ 3%-ს.

რუსეთ-უკრაინის ომმა მსოფლიო ფასების ზრდა გამოიწვია, რაც ქართულ ბაზარსაც შეეხო. ინფლაციის

<sup>1</sup> რისკ-პრემია, რომელიც გამოთვლილია საქართველოს 10-წლიან სახელმწიფო ობლიგაციებსა და 3-თვიან სახაზინო ობლიგაციებს შორის არსებული სხვაობით, 9.32%-ს შეადგენს (2022 წლის 31 მარტის მდგომარეობით), წინა წლის იმავე პერიოდში კი აღნიშნული მაჩვენებელი 8.51%-ს შეადგენდა.

<sup>2</sup> აღსანიშნავია, რომ საქართველოს უნიკალურმა პოზიციამ, რაც იმას ნიშნავს, რომ ქვეყანა მიგრანტებისა და რუსული აქტივებისთვის რეგიონულ უსაფრთხო თავშესაფარს წარმოადგენს, გამოიწვია არსებულ მოლოდინებზე უკეთესი შედეგების მიღება აპრილსა და მაისში. რეგიონში მუდმივად ცვალებადი ვითარებისა და რუსეთში ელიტარული რეპრესიების გამო, ამჟამად ძნელია იმის პროგნოზირება, საქართველოში აქტივების შემოდინება დროებითი იქნება თუ მუდმივი.



განმაპირობებელ ძირითად ფაქტორებს შორის იყო სურსათის ფასების ზრდა და წლიური ზრდის მაჩვენებელმა 17.1% შეადგინა. სურსათის ფასების ზრდით გამოწვეული ინფლაციის მაჩვენებელი ინფლაციის ზოგადი მაჩვენებლის 5.5 პროცენტულ პუნქტს შეადგენდა. აღნიშნულ კატეგორიაში პურის, ყველის, ზეთისა და შაქრის ზრდა ინფლაციის უმთავრესი განმაპირობებელი ფაქტორები იყო.

ინფლაციის მაჩვენებლის ზრდაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა კომუნალური გადასახადების – წყლის, ელექტროენერჯის, გაზისა და სხვა საწვავის – ფასების ზრდამ (რაც ინფლაციის წლიური მაჩვენებლის 3.9 პროცენტულ პუნქტს შეადგენს). ერთი მხრივ, კომუნალური გადასახადების სუბსიდიებით გამოწვეული გავლენა ინფლაციაზე მარტში დასრულდა, რამაც ხელი შეუწყო ინფლაციის შემცირებას. მეორე მხრივ, რუსეთ-უკრაინის ომმა საგრძნობლად გაზარდა საწვავის ფასი საერთაშორისო ბაზარზე, ხოლო რუსი ტურისტების შემოდინებამ გაზარდა ადგილობრივი საცხოვრებლის ფასები, რაც კიდევ უფრო მეტად ზრდის ინფლაციას.

**ქართულ ბაზარზე არსებული ინფლაცია ფასების გლობალურად ზრდითაც იყო გამოწვეული.** ძლიერი ინფლაციური შოკის მიუხედავად, [საქართველოს ეროვნული ბანკი](#) 2022 წლის ბოლოსთვის ინფლაციის ეტაპობრივ შემცირებას პროგნოზირებს მკაცრი მონეტარული პოლიტიკისა და მიწოდებასთან დაკავშირებული ხარვეზების აღმოფხვრის კომბინაციით.

### გარე სექტორი: ვაჭრობა, ტურიზმი, ფულადი გზავნილები, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები

2022 წლის II კვარტალში დაფიქსირდა გაზრდილი საგარეო მოთხოვნა, რაც გამოწვეული იყო წარმოების აღდგენითა და საქართველოს სავაჭრო პარტნიორების ეკონომიკური გაძლიერებით. შედეგად, შემცირდა მიმდინარე ანგარიშის ბალანსი. ამავდროულად, მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი 2021 წლის I კვარტალთან შედარებით 163.6 მილიონით გაიზარდა, რაც კვარტალური მშპ-ის 13 %-ია. 2021 წლის იმავე პერიოდში კი აღნიშნული მაჩვენებელი 12.5 %-ს შეადგენდა. საქართველოში რუსული კაპიტალის შემცირების მიუხედავად (-11,2 მილიონი აშშ დოლარით), პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა 568 მილიონ აშშ დოლარს მიაღწია. ძირითადი ინვესტიციები ესპანეთიდან, გაერთიანებული სამეფოდან, თურქეთიდან, ჩინეთიდან, ნიდერლანდებიდან და აშშ-დან განხორციელდა.

საქართველოს საგარეო ვაჭრობის მაჩვენებელი წლიური 39.7%-ით გაიზარდა, რაც გამოწვეულია გაზრდილი ექსპორტით, უარყოფითი სავაჭრო ბალანსი კი გაიზარდა და 1,573 მლნ აშშ დოლარს მიაღწია. აღსანიშნავია, რომ ექსპორტისა და იმპორტის მაჩვენებლები უფრო მაღალი იყო 2021 წლის იმავე პერიოდთან შედარებით, რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ აღნიშნული ზრდის ერთადერთი განმაპირობებელი ფაქტორი საბაზო ეფექტი არ არის.

**საქონლის რეგისტრირებული ექსპორტი წლიური 43.3%-ით გაიზარდა.** ექსპორტის ზრდის მაჩვენებელში მნიშვნელოვანი წვლილი ჩინეთში განხორციელებულმა ექსპორტმა შეიტანა (წლიური +13,5 პროცენტული პუნქტი), რაც სპილენძის ნედლეულსა და კონცენტრატებზე გაზრდილი მოთხოვნის მანიშნებელია. სამშენებლო ტექნიკაზე და მინერალურ სასუქებზე გაზრდილი მოთხოვნის გამო, ექსპორტი სომხეთში არსებითად გაიზარდა (რეგიონული გადმოსახედიდან). რკინის შენადნობებისა და შავი ჯართის ექსპორტის მნიშვნელოვანმა ზრდამ გამოიწვია ექსპორტის ზრდა თურქეთშიც. მეორე მხრივ, შეიარაღებული კონფლიქტის გამო, ექსპორტი უკრაინაში საგრძნობლად შემცირდა, თუმცა რუსეთში ექსპორტი მნიშვნელოვნად არ შეცვლილა. ევროკავშირის ქვეყნებში განხორციელებულ ექსპორტს შორის მნიშვნელოვნად გაიზარდა ექსპორტი ბულგარეთში, სპილენძის მადნისა და კონცენტრატების გაზრდილი



გაყიდვების გამო. შეინიშნებოდა შეერთებული შტატების გაზრდილი მოთხოვნაც რკინის შენადნობებზე, რამაც ხელი შეუწყო ექსპორტის მთლიან ზრდას და მთლიანი მაჩვენებლის ზრდაში 6.5 პპ-იანი წვლილი შეიტანა.

ექსპორტის ამგვარი ზრდა განპირობებული იყო შუალედური საქონლის გაზრდილი ექსპორტით (ძირითადად, მაღალი ფასების გამო); თუმცა, სამომხმარებლო და საინვესტიციო საქონლის წვლილი მხოლოდ ზომიერი დარჩა. შუალედური საქონლით გაზრდილი ვაჭრობის გამომწვევი მიზეზი სპილენძის ნედლეულისა და კონცენტრატების გაზრდილი ექსპორტი იყო. სატელეფონო მოწყობილობების რეექსპორტმა განაპირობა სამომხმარებლო საქონლის ექსპორტის ზრდა, საინვესტიციო საქონლის იმპორტის შემთხვევაში, ექსპორტის ზრდის მაჩვენებლის ზრდა გამოიწვია თვითმფრინავის ნაწილების რეექსპორტმაც.

**იმპორტი წლიური 35.7%-ით გაიზარდა**, რაც გამოწვეული იყო მზარდი ეკონომიკური აქტივობითა და გაზრდილი შიდა მოთხოვნით. მნიშვნელოვნად გაიზარდა იმპორტი რეგიონის ქვეყნებიდან, მთავარი იმპორტიორი ქვეყნები თურქეთი და აზერბაიჯანი იყვნენ. გარდა ამისა, იმპორტის გაზრდილი მაჩვენებელი განპირობებული იყო იმპორტით ჩინეთიდან, ბრაზილიიდან, ბულგარეთიდან და ზოგიერთი სხვა რეგიონიდან. ამის საპირისპიროდ, ავტომობილებით ვაჭრობის შემცირების გამო, შემცირდა იმპორტი აშშ-დან. პანდემიით განპირობებული შემცირებული მოთხოვნის გამო, ახალი ავტომობილების ფასები გაიზარდა, რამაც თავისთავად აიძულა ძველი ავტომობილების ბევრი მფლობელი, არსებული ავტომობილები მფლობელობაში დაეტოვებინათ. ეს კი საბოლოოდ ნიშნავს იმას, რომ იმპორტისა და რეექსპორტისთვის ნაკლები ავტომობილია ხელმისაწვდომი.

იმპორტის ზრდის მთლიან მაჩვენებელში მთავარი წვლილი შეიტანა სამომხმარებლო და შუალედური საქონლის იმპორტმა. სამომხმარებლო საქონლის შემთხვევაში, გაიზარდა ნავთობპროდუქტებით, მედიკამენტებით და ავტომობილებით ვაჭრობა, შუალედური საქონლის შემთხვევაში, გაიზარდა სპილენძის მადნებისა და კონცენტრატების, აგრეთვე, ბუნებრივი აირის იმპორტი. საინვესტიციო საქონლის იმპორტის შემთხვევაში, იმპორტის ზრდა გამოიწვია მონაცემთა ავტომატური დამუშავების მანქანებისა და მათი ნაწილების გაზრდილმა შესყიდვებმა. აღსანიშნავია, რომ იმპორტის ღირებულების ზრდას, აგრეთვე, ხელი შეუწყო მსოფლიო ფასების ზრდამ აშშ დოლარში. მაგალითად, საწვავისა და ნავთობპროდუქტების იმპორტი წლიური 72%-ით გაიზარდა, რაც ძირითადად გლობალურ ბაზარზე ენერგოპროდუქტების ფასის 61%-იანი ზრდით იყო განპირობებული.

სამოგზაურო შეზღუდვების შემსუბუქებამ ხელი შეუწყო ტურიზმის სტიმულირებას. საერთაშორისო ვიზიტორების წლიური მაჩვენებელი თითქმის 4-ჯერ გაიზარდა, თუმცა აღნიშნული კვლავ ჩამოუვარდება 2020 წლის იმავე პერიოდში არსებულ მაჩვენებელს (რაც 53.8%-იანი კლებაა). ვიზიტორთა რაოდენობის ეს ზრდა აიხსნება საბაზო ეფექტითაც, რადგან ტურიზმი შეჩერებული იყო თითქმის მთელი 2020 წლის განმავლობაში. მიუხედავად იმისა, რომ მოგზაურთა 51% მეზობელი ქვეყნებიდან შემოვიდა, ისრაელიდან, ირანიდან და საუდის არაბეთიდან შემოსულმა ვიზიტორებმაც მნიშვნელოვანი დადებითი გავლენა იქონიეს ვიზიტორთა მთლიანი რაოდენობის ზრდაზე. საერთაშორისო ვიზიტორების ზრდამ შედეგობრივი დადებითი გავლენა იქონია ასეთი მოგზაურების მიერ გენერირებული შემოსავლის მაჩვენებელზე, რომელიც 2022 წლის I კვარტალში 7,4-ჯერ გაიზარდა. მიუხედავად ამისა, ეს მაჩვენებელი კვლავ 31.9%-ით უფრო დაბალია 2019 წლის იმავე პერიოდში დაფიქსირებულ მაჩვენებელთან შედარებით, რაც მიუთითებს იმაზე, რომ სექტორი ჯერ სრულად აღდგენილი არ არის.

საქართველოს ეროვნული ბანკის სტატისტიკის მიხედვით, 2022 წლის I კვარტალში საქართველოში შემოსულმა ფულადმა გზავნილებმა 545.3 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც 9.2%-იანი წლიური ზრდის



მაჩვენებელია. რუსეთ-უკრაინის ომმა ნეგატიური გავლენა მოახდინა მარტში ქვეყანაში შემოსული ფულადი გზავნილების მაჩვენებელზე. 2021 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, რუსეთიდან ფულადი გზავნილების შემოდინების მაჩვენებელი 11.4%-ით (71.3 მლნ აშშ დოლარით) შემცირდა, უკრაინიდან კი – 53.2%-ით (10.6 მლნ აშშ დოლარით). ამასთან, საბერძნეთიდან ფულადი გზავნილების რაოდენობა წლიური 13.03%-ით შემცირდა და 51.3 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.

გაიზარდა სწრაფი ფულადი გზავნილების რაოდენობა იტალიიდან (წლიური 18.4 %-ით), აშშ-დან (წლიური 9.3 %-ით) და ისრაელიდან (წლიური 7.6 %-ით). ჩამოთვლილი ქვეყნებიდან შემოსული ფულადი გზავნილების პროცენტული წილი შემოსული ფულადი გზავნილების მთლიან მაჩვენებელში შემდეგნაირად გადანაწილდა: იტალია – 18.7%, აშშ – 2.2%, ისრაელი – 8.4%. ყაზახეთიდან განხორციელებულ ფულად გზავნილებსაც მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს შემოდინებული ფულადი გზავნილების მაჩვენებელში. 2022 წლის I კვარტალში ყაზახეთიდან შემომავალი ფულადი გზავნილების მაჩვენებელი 340,3%-ით გაიზარდა 2021 წლის იმავე პერიოდთან შედარებით და შემოსული ფულადი გზავნილების მთლიანი მაჩვენებლის 5,12% შეადგინა.

2022 წლის I კვარტალში, საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური უცხოური ინვესტიციები 568.2 მლნ აშშ დოლარს შეადგენდა, რაც 328.8%-ით მეტია 2021 წლის I კვარტლის მაჩვენებელთან შედარებით. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ზრდა, უმეტესად, ხელახალი ინვესტიციებით იყო განპირობებული. მათი უმეტესობა განხორციელდა ენერგოსექტორში (41.6%). ინვესტიციები განხორციელდა ფინანსურ (19.5%), უძრავი ქონების (14.3%), საწარმოო (6.6%) და სატრანსპორტო (4.1%) სექტორებშიც.

### საჯარო ფინანსები

საერთო ბიუჯეტში მთლიანმა შემოსავალმა 4,508.7 მლნ ლარი შეადგინა, რაც წინა წელთან შედარებით 33.5%-ით მეტია. ზრდა, ძირითადად, განაპირობა გადახდილი გადასახადების ზრდამ (ჯამში გადახდილი გადასახადებით განპირობებული წლიური ზრდის მაჩვენებელი +38.4%-ს შეადგენდა): საშემოსავლო გადასახადი (წლიური +45.4%), მოგების გადასახადი (წლიური 60.5%) და დღგ (წლიური +33.7%). სხვა შემოსავლები 14.2%-ით გაიზარდა გასული წლის I კვარტალთან შედარებით და 270.9 მლნ ლარი შეადგინა. მიუხედავად ამისა, საანგარიშო კვარტალში მიმდინარე სამთავრობო ხარჯები წლიური 12.6%-ით გაიზარდა და 3,825.1 მლნ ლარი შეადგინა.

აღნიშნული ხარჯებიდან გრანტებზე დანახარჯები წლიური 17%-ით შემცირდა, მაგრამ გაიზარდა ხარჯები შემდეგ კატეგორიებში: სუბსიდიები (წლიური +21.9%), საქონლითა და მომსახურებით სარგებლობა (წლიური +26.6%), თანამშრომლების ანაზღაურება (წლიური +8.5%) და სხვა ხარჯები (წლიური +32.3%). საქართველოს მთავრობამ გაზარდა კაპიტალური ხარჯებიც, არაფინანსური აქტივების შეძენის წილი კი წინა კვარტალში 13.1%-ით გაიზარდა და I კვარტალში 644.8 მლნ ლარი შეადგინა. 2022 წლის I კვარტალში დაფიქსირდა ბიუჯეტის პროფიციტი 38.8 მლნ ლარის ოდენობით.

მთავრობის სავალო ვალდებულებები წლიური 1.7%-ით შემცირდა და 29,826.7 მლნ ლარი შეადგინა. საშინაო ვალი 6.1%-ით გაიზარდა, საგარეო ვალი კი 3.5%-ით შემცირდა. გარდა ამისა, საგარეო ვალის წილი მთლიან ვალში 79,2%-ის ტოლია, რაც საგარეო ვალზე გაცვლითი კურსის ცვალებადობის დიდ გავლენაზე მიუთითებს.